



პალტ & თავარში  
შენი შესაძლებლობები



სამართველოს ბანკი

# სამართველოს აკონომიკის და სექტორების მიმოხილვა

მარტი 2024








**პალტ & ტაბარტი**  
მემორიული შესაძლებლობები

# საქართველოს ეკონომიკის მიმოსილვა

შინაარსი

- **ეკონომიკური ზრდის წარმართვადი ფაქტორები**
  - სექტორების მიხედვით
  - დანახარჯების მიხედვით
- **დანაზოგები და ინვესტიციები**
- **ლარი, ინფლაცია**
- **საკროცენტო განაკვეთები**
- **ბიუჯეტის კარამეთრები**
- **2024 წლის მოლოდინები**


# საქართველომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია



# საქართველოს რეგიონში გამოარჩევს კარგი მმართველობის ინდიკატორები


დსოფლიო ბანკის მმართველობის  
ინდიკატორები, საქართველო vs EU/რეგიონი

— საქართველო — EU, საშუალო — კავკასია და ცენტრალური აზია, საშუალო




## საქართველოს მმართველობის 6 ინდიკატორი


მთავრობის  
ეფექტურობა




რეგულაციის  
ხარისხი




კორუფციის  
კონტროლი



გეოპოლიტიკური  
სტაბილურობა



კანონის  
უზენაესობა




ანგარიშ-  
ვალდებულება



## სავალუტო შემოდინებები

# მიზიდვითი ბიზნეს გარემო სავალუტო შემოდინებების ზრდაზე კოზიტითურად მოქმედებს

სავალუტო შემოდინებები - ექსპორტი, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, IT და ინვესტიციები (FDI), მლრდ \$




- სავალუტო შემოდინებები ქვეყნების და კატეგორიების მიხედვით დივერსიფიცირებულია და ერთი რომელიმე ქვეყნიდან შემოსავლების კლებას ჯამურ შემოსავლებზე დიდი გავლენა არ აქვს.
- 2021 წლიდან IT მომსახურეობის ექსპორტი სავალუტო შემოდინებების ახალი მზარდი წყარო გახდა.
- 2022 წლიდან რეკორდული სავალუტო შემოდინებები ფიქსირდება, რაც პანდემიამდელ დონეს თითქმის 1.7-ჯერ აღემატება.

## მშპ დანახარჯების მიხედვით

# 2022 წლიდან ეკონომიკური ზრდის ძირითადი წარმართველი ინვესტიციებია

რეალური ეკონომიკური ზრდა და მოხმარების, ინვესტიციების და წმინდა ექსპორტის კონტრიბუცია ზრდაში, პროცენტული პუნქტი




- პანდემიამდე ეკონომიკური ზრდის ძირითადი წარმართველი მოხმარება იყო.
- თუმცა, 2022 წლიდან ინვესტიციები სწრაფად იზრდება და ეკონომიკური ზრდის მთავარი კონტრიბუტორია.
- საშუალოვადიან პერიოდში მსხვილი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანი იქნება მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

## ეკონომიკის სტრუქტურა


# საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია; მომსახურების დარგების ზრდის ტემპი დაჩქარდა

საქართველოს ეკონომიკა სექტორების მიხედვით, 2023E



დივერსიფიცირებულია ზრდის წყაროები და ეკონომიკური ზრდა არ არის დამოკიდებული ერთ რომელიმე სექტორზე

კონტრიბუცია 2021-2023 ეკონომიკურ ზრდაში, კპ




კანდემიის შემდგომ მნიშვნელოვნად დაჩქარებულია IT და ტრანსპორტის დარგების კონტრიბუცია ეკონომიკურ ზრდაში

## დანაზოგები და ინვესტიციები


# 2022 წლიდან მთავრობის/კერძო სექტორის დანაზოგები და ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა

მთავრობის და კერძო სექტორის ინვესტიციები



კერძო სექტორის ინვესტიციების ზრდა დაჩქარდა 2022-23 წლებში. მთავრობის ინვესტიციები 8-9%-ის ფარგლებშია მშპ-ის მიმართ

მთავრობის და კერძო სექტორის დანაზოგები




კერძო დანაზოგების ზრდა დიდწილად მალაღმა ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა



**ბიუჯეტის კარამეტრები**


**ფისკალური ჩარჩო ჯანსაღია, ბუფერები გროვდება კოტენსიურ შოკებთან  
 გასამკლავებლად**

ფისკალური დეფიციტი, %-ად მშპ-თან



ეკონომიკის სწრაფად აღდგენამ დააჩქარა ფისკალური დეფიციტის კანდემიამდე ღონეზე დაბრუნება

მთავრობის ვალი, %-ად მშპ-თან




2022 წლიდან მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი კანდემიამდე ღონეზე დაბალია

# ლარი


## ლარი გამყარდა და სტაბილურია, ინფლაცია შემცირდა

ლარის გაცვლითი კურსი დოლართან და ევროსთან



2024 წელს ლარი დოლარის მიმართ 2.7-ის, ხოლო ევროს მიმართ 3.0-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ჩვენი პროგნოზით

ინფლაცია საქართველოში




2023 წლის აპრილიდან ინფლაცია სწრაფად შემცირდა და 2023 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.5% შეადგინა

## საკროცენტო განაკვეთები


# საკროცენტო განაკვეთების მოსალოდნელი შემცირება ბიზნეს აქტივობის ხელშეწყობის მიზნით

საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი




2024 წელს განაკვეთის შემცირებას ვპროგნოზირებთ 8.5%-მდე

FED-ის განაკვეთი, \$



მოსალოდნელია \$-ის განაკვეთის შემცირება 5.5%-დან 4.75%-მდე 2024 წელს

ECB-ის განაკვეთი, €




მოსალოდნელია €-ს განაკვეთის შემცირება 4.5%-დან 3.75%-მდე 2024 წელს

## 2024 წლის პროგნოზები

# საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიწიჭებამ ეკონომიკური მოლოდინები გააუმჯობესა

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი

ძირითადი მაკრო ინდიკატორების 2024 წლის პროგნოზი



	საბაზისო სცენარი	ოპტიმისტური სცენარი
ეკონომიკური ზრდა	6.0%	7.0%
ინფლაცია (საშუალო)	3.0%	2.5%
1\$/ლარი	2.7	2.65
1€/ლარი	3.0	2.95
რეფინანსირების განაკვეთი	8.5%	8.0%



**ბალო & თაბარტი**

ვემნით შესაძლებლობებს

## **საქორულის ბიზნისი**

- **FMCG საქორი**
- **IT საქორი**
- **განათლება**
- **თბილისის და ბათუმის უძრავი ქონება**
- **ტურიზმი**
- **ტრანსპორტი & ლოგისტიკა**



**ბალა & ტაბარი**  
შენიშნული ხელსაწყოების


# FMCG სექტორი



## FMCG სექტორი

სექტორის ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ბრენდული ქსელების სწრაფი ექსპანსიაა

FMCG სექტორის შემოსავლები სეგმენტების მიხედვით, მლრდ ლარი (დღგ-ს ჩათვლით)



- სექტორი საშუალოდ 14.2%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში და გააგრძელებს 10.0%-იან ზრდას 2024-28 წლებში.
- ბრენდული ქსელები საშუალოდ 28.1%-ით, ხოლო სხვა ფორმატები 8.8%-ით გაიზარდა 2018-23 წლებში.

ბრენდული ქსელების წილი 21.7%-დან 38.6%-მდე გაიზარდა 2018-23 წლებში. ბრენდული ქსელების ბაზარი 18.4%-იან ზრდას გააგრძელებს 2023-28 წლებში, რაც საბაზრო წილის 55.6%-მდე ზრდას გამოიწვევს.


## FMCG სექტორი

სექტორის ზრდის წყარო მომდევნო წლებში გეოგრაფიული ექსპანსია და ახალი მალაზიების გახსნა იქნება


### ბრენდული ქსელების წილი, %

მოსალოდნელია ზრდა გეოგრაფიული ექსპანსიის და სტრატეგიული განვითარების ხარჯზე


2018




2023




2028F




2018



2023




2028F




### ბრენდული მალაზიები თბილისში

ახალი მალაზიებისთვის ყველაზე საინტერესო რაიონებია: საბურთალო, გლდანი და სამგორი.


2018



2023



2028F



### ბრენდული მალაზიები რეგიონებში

ახალი მალაზიებისთვის ყველაზე საინტერესო რეგიონებია: აჭარა და ქვემო ქართლი.




## FMCG სექტორი

### მომდევნო წლებში დაჩქარდება საკუთარი წარმოების, ელ-კომერციის და მონაცემთა ანალიზის განვითარება


#### საკუთარი წარმოების წილი გაყიდვებში, %

ბრენდულ ქსელებში დაბალია აგრარული პროდუქციის მიწოდება ფრაგმენტული სოფლის მეურნეობის სექტორის გამო, რისი აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება საკუთარი წარმოებაა.



#### ელ-კომერციის წილი გაყიდვებში, %

ზრდასრული მოსახლეობის 24% Gen-Z თაობის წარმომადგენელი იქნება 2028 წელს, რაც ელ-კომერციის და მონაცემთა ანალიზის მნიშვნელობას ზრდის.






ბალთ & თაგარიძი

მენეჯერების მსახურთა კომპანია


# IT სექტორი



## IT სექტორი


### სექტორის სწრაფი ზრდა საგადასახადო შეღავათებმა და კომპანიების რელოკაციამ განაპირობა

IT სექტორის შემოსავლები, მლრდ ლ




სექტორის შემოსავლები სწრაფად გაიზარდა 2022 წლის შემდეგ.

IT სერვისის ექსპორტი, მლრდ ლ



ექსპორტის 26.3% აშშ-ში ხორციელდება, 15.3% დიდ ბრიტანეთში, ხოლო 10.6% მალტაში.

კომპანიების წილი უცხოური კაპიტალით, %




ბაზრის ლიდერების უმეტესობა უცხოური კომპანიაა.

## IT სექტორი

კომპანიების რელოკაციის შემდეგ საშუალო ხელფასი IT სექტორში გაორმაგდა

### დასაქმება და ხელფასები IT სექტორში



შრომითი დანახარჯები სექტორის შემოსავლების 60%-ს შეადგენს. შესაბამისად, IT ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები ძირითადად დასაქმებულებზე ნაწილდება, რაც ხელს უწყობს მოხმარების ზრდას.


IT სექტორში მაღალი ხელფასები საშუალო კლასის ფორმირების წინაპირობაა.

დასაქმების და ხელფასების ზრდა განსაკუთრებით დაჩქარდა 2022 წლიდან, როცა საქართველოში კომპანიების რელოკაცია მოხდა.

## IT სექტორი


საქართველოში ხელფასები მაღალია, ხოლო ცხოვრების ხარჯები მცირე, რაც ქვეყანას მიმზიდველს ხდის პროფესიონალებისთვის

პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრის საშუალო ხელფასი საშემოსავლო გადასახადის შემდეგ, აშშ დოლარი



პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრის საშუალო ხელფასი თბილისსა და ევროპულ ქალაქებში მეტნაკლებად მსგავსია.

საშუალო ხელფასის ფარდობა ცხოვრების ხარჯებთან



ცხოვრების ხარჯების გათვალისწინებით, თბილისი განსაკუთრებულად კონკურენტულია სხვა ქალაქებთან შედარებით.



**გალთ & თაგარტი**  
მენეიტ შესაძლებლობებს


# განათლების სექტორი



## განათლების სექტორი


საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა და წილი განათლების სექტორში სწრაფად გაიზარდა ბოლო წლებში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოში სასწავლო წლის დასაწყისისთვის, '000



უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა კერძო უნივერსიტეტებში სწავლობს ჯანდაცვის პროგრამებზე.

უცხოელი სტუდენტების წილი, %




უცხოელი სტუდენტი მთლიანი ჩარიცხვების 17.3%-ს შეადგენდნენ 2023/24 სასწავლო წლის დასაწყისისთვის. სტუდენტების 52.1% ინდოეთიდანაა, 8.7% იორდანიიდან, ხოლო 5.5% ისრაელიდან.

## განათლების სექტორი

უცხოელი სტუდენტების დანახარჯები 0.8 მლრდ ლარს გადააჭარბებს 2024 წელს

უცხოელი სტუდენტების დანახარჯები საქართველოში, მლნ ლარი



- ● ● უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა (85%) ამჟამად ჯანდაცვის პროგრამებზე სწავლობს.
- ● ● რამდენიმე საბაკალავრო პროგრამის 3-წლიან სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, სავარაუდოა უცხოელი სტუდენტების რაოდენობის დამატებითი ზრდა.

განათლებაში გადახდილი გადასახადების გარდა, საკმაოდ დიდია უცხოელი სტუდენტების განუყოფელი საყოფაცხოვრებო ხარჯებიც.





**პალტ & თაგარში**  
მემორიულ მემორიალურ ბაზარს


# თბილისის და ბათუმის უძრავი ქონების ბაზარი



## უძრავი ქონება - თბილისი


პირველად ბაზარზე გაყიდვები მცირედით გაიზარდა 2023 წელს, ხოლო მეორად ბაზარზე შემცირდა

უძრავი ქონების რეგისტრირებული გაყიდვების რაოდენობა თბილისში, ერთეული



გაყიდვები შენედა 2023 წელს, თუმცა შემცირება მეორად ბაზარზე, ხოლო პირველად ბაზარზე ტრანზაქციები მცირედით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ გაყიდვები 6.7%-ით გაიზარდა 2024 წლის იანვარში.

თბილისში მიმდინარე პროექტებში გაყიდული ბინების რაოდენობა, შერჩეული დეველოპერების გამოკითხვა




მიმდინარე დეველოპერულ პროექტებში გაყიდვები 4.2%-ით გაიზარდა 2023 წელს. ამჟამად, ჩვენს მიერ გამოკითხული დეველოპერების პროექტებში, რომლებიც 2024-25 წლებში სრულდება ბინების 75% გაყიდულია.

## უძრავი ქონება - თბილისი


ნებართვები რეკორდულად გაიზარდა 2023 წელს, თუმცა ამ ეტაპზე ზედმეტი მიწოდების საფრთხე არ იკვეთება

თბილისში გაცემულ ნებართვებში გასაყიდი საცხოვრებელი ფართი, მლნ კვ.მ.



გაცემული ნებართვების მოცულობამ 2023 წელს რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. ამ ეტაპზე ზედმეტი მიწოდების საფრთხე არ იკვეთება, თუმცა საყურადღებოა ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში.

პირველად ბაზარზე საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასი თბილისში, \$ / კვ.მ.




უძრავი ქონების ფასი უცხოურ ვალუტაში პირველად ბაზარზე 21.2%-ით გაიზარდა 2023 წელს, თუმცა ლარის გამყარებამ ფასების ზრდის ეფექტი შეამსუბუქა. 2024 წელს მოსალოდნელია ფასების სტაბილიზაცია.

## უძრავი ქონება - ბათუმი

უძრავი ქონების გაყიდვები შენედა როგორც პირველად, ისე მეორად ბაზარზე 2023 წელს


უძრავი ქონების რეგისტრირებული გაყიდვების რაოდენობა ბათუმში, ერთეული



საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვები მცირედით შენედა 2023 წელს, როგორც პირველად ისე მეორად ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ გაყიდვები 21.7%-ით შემცირდა 2024 წლის იანვარში.

წყარო: საჯარო რეესტრი, კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

გაყიდული ბინების რაოდენობა მიმდინარე პროექტებში, ბათუმის შერჩეული დეველოპერების გამოკითხვა




შესუსტებული მოთხოვნა შესაძლოა აიხსნას 1) 2022 წლის მაღალი ბაზით 2) დაბალი მარაგებით, რადგან პროექტებში, რომლებიც 2024-25 წლებში სრულდება ბინების 85% გაყიდულია და 3) დეველოპმენტის ბათუმიდან აჭარის სხვა ლოკაციებზე გადანაცვლებით.

## უძრავი ქონება - ბათუმი


უძრავი ქონების დეველოპმენტი ბათუმიდან აჭარის სხვა ლოკაციებზე ინაცვლებს

მიმდინარე დეველოპერული პროექტების განაწილება აჭარაში



ბათუმში მიწის შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, უძრავი ქონების დეველოპმენტი აჭარის სხვა ლოკაციებზე ინაცვლებს.

პირველად ბაზარზე საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასი ბათუმში, \$ / კვ.მ.



უძრავი ქონების ფასი პირველად ბაზარზე 54.6%-ით გაიზარდა 2022 წლის დასაწყისთან შედარებით, თუმცა 2024 წლიდან ფასების სტაბილიზაციაა მოსალოდნელი.



**კალტ & ტაბარტი**  
შენიშნული მისამართების


# ტურიზმის სექტორი



## ტურიზმის სექტორი


### ტურიზმის სრული აღდგენა 2024 წელს არის მოსალოდნელი

ტურიზმის აღდგენა 2019 წელთან შედარებით, %



ტურიზმის აღდგენის ტემპი საქართველოში მცირედით ჩამორჩება გლობალური აღდგენის დინამიკას.

ვიზიტორების აღდგენა საქართველოში 2019 წელთან შედარებით, %




ვიზიტორების რაოდენობა მხოლოდ ისრაელიდან და თურქეთიდან აღდგა სრულად, ხოლო სხვა ქვეყნებიდან კვლავ ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებლებს.

## ტურიზმის სექტორი

### 2022-23 წლებში ბრენდული სასტუმროების მიწოდება მნიშვნელოვნად გაიზარდა

#### ბრენდული სასტუმროების ოთახების რაოდენობა საქართველოში



პანდემიის შემდეგ, დაახლოებით 12 ბრენდული სასტუმროს მშენებლობა შეწყდა.



ამჟამად, დაახლოებით 20-მდე ბრენდული სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს, მაშინ როცა წინა წლებში ეს რიცხვი 30-35-ს აღწევდა.



პანდემიის შემდეგ, სასტუმროებზე ახალი ნებართვების გაცემა თითქმის 55%-ით შემცირდა 2020-22 წლებში, თუმცა ტემპი კვლავ აჩქარდა 2023 წელს.


თბილისში 28 ბრენდული სასტუმრო მდებარეობს 2023 წლის მდგომარეობით, ბათუმში 9, ხოლო დანარჩენ საქართველოში 8.



## ტურიზმის სექტორი


გაზრდილი მიწოდების ფონზე, მსხვილ სასტუმროებში ფასები გაიზარდა, თუმცა დატვირთულობა შემცირდა

დატვირთულობა, %




დატვირთულობა შემცირდა როგორც თბილისში, ისე ბათუმში.

ADR, აშშ დოლარი



ოთახის საშუალო ფასი გაიზარდა, რისი მიზეზიც გაზრდილი საოპერაციო ხარჯებია.

Revpar, აშშ დოლარი



შემცირებული დატვირთულობის და გაზრდილი ფასების ფონზე, მცირედით გაიზარდა RevPar.




# ტრანსპორტი & ლოგისტიკა



## ტრანსპორტი & ლოგისტიკა


### კონტეინერების ტვირთბრუნვა რეკორდულად გაიზარდა 2023 წელს

კონტეინერების ტვირთბრუნვა ბათუმის და ფოთის პორტებში,  
‘000 TEU



კონტეინერების ტვირთბრუნვამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია 2023 წელს.



ჯამური ტვირთბრუნვა შავი ზღვის პორტებში, მლნ ტონა



კონტეინერებისგან განსხვავებით, 2023 წელს შემცირდა პორტებში თხევადი და ნაყარი ტვირთების გადაზიდვა.

## ტრანსპორტი & ლოჯისტიკა

შუა კორიდორი მულტიმოდალურია, რაც ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას



## ტრანსპორტი & ლოგისტიკა

შუა კორიდორის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მთავარი წინაპირობაა

### ინფრასტრუქტურული პროექტები მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში

- საქართველოს პორტებში სასაწყობო სიმძლავრეების გაზრდა
- საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაცია
- საქართველოს რკინიგზის ვაგონების რაოდენობის ზრდა
- საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია

### ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელვადიან პერიოდში

- ღრმანწყლოვანი პორტის განვითარება საქართველოში
- ლოგისტიკური ცენტრების განვითარება საქართველოში



**კვლევების დეპარტამენტის უფროსი**  
ევა ბოჭორიშვილი  
[evabochorishvili@gt.ge](mailto:evabochorishvili@gt.ge)

**საქორულის კვლევების უფროსი**  
კახა სამყურაშვილი  
[ksamkurashvili@gt.ge](mailto:ksamkurashvili@gt.ge)

**აკომოთისტი**  
ლაშა ქავთარაძე  
[lashakavtaradze@gt.ge](mailto:lashakavtaradze@gt.ge)

**მისამართი:**  
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

**ტელ:** + (995) 32 2401 111

**ელ. ფოსტა:** [research@gt.ge](mailto:research@gt.ge)

# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.